

“ჭამა მამა”-ს ისტორია

რესპოდენტი
თამარა ჩუბინიძე

ინტერვიუერი
ნინი სიხარულიძე

ინტერვიუს თარიღი
7 ივნისი, 2023 წელი

შესავალი
ინტერვიუს პირველ ნაწილში, თამარა ჩუბინიძე გვიზიარებს თავისი ემიგრაციის ისტორიას, რომელიც იწყება 1996 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ინტერვიუს მეორე ნაწილში, თამარა გვიყვება ქართული რესტორნის, “ჭამა მამა” (Chama Mama)-ს დაარსების შესახებ და ამავდროულად გვესაუბრება რესტორნის მიზნების შესახებ ქართული კულტურისა და გასტრონომიის პოპულარიზაციისათვის.

წინაპირობა

ნინი სიხარულიძე: გვიამბეთ ცოტა თქვენს შესახებ. □ად და როდის დაიბადეთ? როგორ იწყება თქვენი ემიგრაციის ისტორია?
თამარა ჩუბინიძე: დავიბადე თბილისში 1981 წელს. ჩემი ემიგრაციის ისტორია იწყება 1996 წელს. მაშინ ვიყავი 15 წლის. მამა ცხოვრობდა ამერიკაში და მან ისურვა, რომ სწავლა ამერიკაში გამეგრძელებინა.

ნინი სიხარულიძე: ალბათ, ეს რთული გადაწყვეტილება იქნებოდა თქვენთვის და თქვენი ოჯახისათვის.
თამარა ჩუბინიძე: გული ძალიან მწყდებოდა. სულ ტირილ-ტირილით დავტოვე შავბნელი 90-იანი წლები თბილისში. ფაქტი ის იყო, რომ ბავშვობის და ახალგაზრდობის მოგონება ყველაზე ტკბილია, როგორი გაჭირვებაც არ უნდა ყოფილიყო. მახსენდება ძალიან ტკბილად ეს პერიოდი. მახსენდება ჩემი სკოლა თბილისში. 1996 წელს რომ ჩამოვედი, არ იყო ინტერნეტი, ტელეფონები. დღევანდელი ახალგაზრდა ემიგრანტებისთვის ყველაფერი ცნობილია. ამერიკა მე მხოლოდ ფილმებში მქონდა ნანახი.

ნინი სიხარულიძე: თქვენი პირველი შთაბეჭდილებები, რომ გაიხსენოთ, თუ შეიძლება.
თამარა ჩუბინიძე: 1996 წელს რომ ჩამოვედი და ვნახე გაბრდღვიალებული თაიმს სქუერი, ისეთი ტირილი დავიწყე, რომ იმ წუთას სახლში წამომიყვანეს. აქ ვხედავდი რამხელა განათება მიდიოდა რეკლამებში და იქ ვიცოდი, რომ ჩემი მეგობრები ტელევიზორს ვერ უყურებდნენ, მუსიკას ვერ უსმენდნენ რადგან შუქი არ იყო. თაიმს სქუერის მოგონება დამამახსოვრდა იმ გაჭირვების გამო რასაც 90-იან წლებში თბილისში გავდიოდით, მაგრამ ბევრი სასიამოვნო მოგონებაც იყო. ტკბილად მახსოვს ხელნაწერი წერილები. ყოველ დღე ვწერდით დღიურებს. ველოდებოდით და წელიდაღში ერთხელ თუ ვინმე წავიდოდა, დიდი ხვეწნით ვატანდით ამ წერილებს. მნიშვნელოვანი რიტუალი იყო ამ წერილების მიღება.

აშშ-ში დასახლების ისტორია

ნინი სიხარულიძე: სად დასახლდა თქვენი ოჯახი თავდაპირველად და შეიცვალეთ თუ არა საცხოვრებელი ადგილი?
თამარა ჩუბინიძე: დავსახლდით ნიუ იორკში. იმის მერე, არც ერთხელ არ შემიცვლია საცხოვრებელი ადგილი. მახსოვს, რომ თითქმის ყოველ დღე ახალი შთაბეჭდილებებით ვიყავი გარშემორტყმული.

ნინი სიხარულიძე: როგორ იტყოდით, რა იყო თავდაპირველი გამოწვევები თქვენთვის?

თამარა ჩუბინიძე: მკვეთრად დამამახსოვრდა პირველი დღე ამერიკულ სკოლაში. ვხედავდი უამრავ ხალხს, ყველა სხვადასხვანაირი აქცენტით, რაც ჩემთვის შოკი იყო. ნიუ იორკში ისე ჩამოვედი, რომ მეგონა ინგლისური ვიცოდი. აღმოვაჩინე, რომ სკოლაში ინგლისური კარგად არ მესმოდა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი არჩევანი არ იყო ამერიკაში წამოსვლა, სულ დამყვება ის, რომ ჩემთვის მუდამ აქვს საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ჩემს გულში. ყოველთვის მქონდა ეს ტკივილამდე მონატრება. მთელი ჩემი ცხოვრება, ახლაც, მაქვს ეს მჭირდო ნოსტალგია. ძალიან ბევრი ტკბილი და ლამაზი მომენტი მახსოვს იმისდა მიუხედავად, რომ დიდი გაჭირვება გამოვიარეთ.

ნინი სიხარულიძე: რა იყო ყველაზე რთული თქვენს ემიგრანტულ ცხოვრებაში. წარმომიდგენია, ეს ძალიან ემოციური პროცესი იყო.
თამარა ჩუბინიძე: ყველაზე მეტად რამაც გული მატკინა იყო ჩემი მეგობრების დატოვება. დღემდე ვგიჟდები ჩვენებურ, ქართულ ურთიერთობებზე. ეს ურთიერთობა მაკლია ამერიკაში. ამერიკაში ამ ურთიერთობებისთვის დიდი დრო არ რჩება. მეგობრული ურთიერთობების ნაკლებობამ ძალიან იმოქმედა ჩემს ახალგაზრდობაზე ამერიკაში. ყველაზე მეტად ეს თავისუფალი ურთიერთობები მენატრება.

ნინი სიხარულიძე: ალბათ, ნოსტალგიასაც განიცდიდით, ხომ? ხშირად ფიქრობდით დაბრუნებაზე?
თამარა ჩუბინიძე: ბევრი წელი ჩამოსვლის შემდეგ, ჩემი ცხოვრება იწყებოდა სექტემბერში. ივნისში უკვე ერთი სული მქონდა, რომ თბილისში ჩავსულიყავი. სკოლამ ეს ციკლისებული ცხოვრება ჩამოაყალიბა. ჩემი შვილების გაჩენის შემდეგ, 20 წლის ვიყავი პირველი შვილი რომ გავაჩინე, იმავე ციკლით ვცხოვრობდით. სულ იმ მოლოდინში ვიყავით, რომ გაფხული მოსულიყო და ბავშვებთან ერთად თბილისში წავსულიყავი.

ნინი სიხარულიძე: როგორი იყო თქვენი ყოველდღიური, ემიგრანტული რუტინა?
თამარა ჩუბინიძე: ჩემი ყოველდღიური რუტინა სულ იყო შრომით დატვირთული. მაქსიმალურად ვხარჯავდი ენერგიას საქმეში. ჩემთვის მნიშვნელოვანია აქტიური ცხოვრება. დილას ვიწყებ 6 საათზე, რომ სამსახურისთვის 8 საათზე მზად ვიყო. ვარ დილის პერსონა და მიყვარს ნაყოფიერი და დათვირთული დღე. ასევე მიყვარს ხალხმრავლობა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვაფასებ იმას, რომ სხვადასხვანაირ ადამიანებს ვხვდები ყოველ დღე. დღის ბოლოს, სახლში რომ მივდივარ, ხანდახან ვუფიქრდები, რამდენნაირი ახალი ისტორია მოვისმინე, რამდენი ენერგია გავეცი. სავსე დღე დიდ ბედნიერებას მგვრის.

ნინი სიხარულიძე: ფიქრობდით, რომ საქართველოში დაბრუნებულიყავით სწავლის დამთავრების შემდეგ?
თამარა ჩუბინიძე: სკოლაში დავდიოდი ნიუ იორკში. გადავწყვიტე, რომ გარკვეული პერიოდი გადავსულიყავი საქართველოში. მცდელობაც მქონდა იმისი, რომ უნივერსიტეტში საქართველოში ჩამებარებინა. საქართველოში დავოჯახდი 18 წლის ასაკში და შემდეგ

მეულლესთან ერთად გადავწყვიტე ამერიკაში დაბრუნება. ამას ახალი ნიუანსი ის ემატებოდა, რომ სწავლასთან და მუშაობასთან ერთად, ასევე გავხდი დედა. გადაივსო ცხოვრება. ვინ სახლში მიდიოდა, ვინ ბაღში, ვინ სკოლაში...

ნინი სიხარულიძე: რა არის ის ქართული ტრადიციები, რომლებსაც თქვენს ოჯახში აგრძელებთ?
თამარა ჩუბინიძე: ტრადიცია ასოცირდება რიტუალთან, დღესასწაულთან, საჭმლის კეთებასთან. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილები მთლიანად ჩართულები არიან ქართული ტრადიციების შენარჩუნებაში. ერთმანეთს ასწრებენ, რომ ვისთან აღვნიშნოთ რომელი დღესასწაული, ვინ რომელ ქართულ კერძს მოამზადებს… როგორი დაკავებულებიც არ უნდა ვიყოთ და სადაც არ უნდა ვიყოთ, ვცდილობთ რომ იმ დღეებში, რომლებიც ჩვენი კულტურისთვის მნიშნველოვანია, აუცილებლად ვიყოთ ერთად.

ნინი სიხარულიძე: თქვენი შვილები საუბრობენ თუ არა ქართულად?
თამარა ჩუბინიძე: აბსოლუტურად თავისუფლად საუბრობენ ჩემი შვილები ქართულად. თავისუფლად კითხულობენ. ეს რასაკვირველია ჩვენი დამსახურებაა, რომ ბავშვებისთვის ქართული ისეთივე მშობიურია, როგორიც ჩემთვის იყო. ეს იმ ბებიების, ბაბუების და ნათესავების დამსახურებაცაა, რომლებიც გაფხულობით ბავშვებს თბილისში მასპინძლობდნენ და აყვარებდნენ ქართულ ენას, ლიტერატურას და კულტურას. ეს არ არის მარტო მშობელი. ეს ნათესავების და ბავშვების მონდომებაცაა. მათ ძალიან დიდი სიყვარული ჩამოუყალიბდათ სამშობლოსი და მშობლიური ენის.

"ჭამა მამა"

ნინი სიხარულიძე: მინდა ყველაფერი მოგვიყვეთ "ჭამა მამა"-ს შესახებ. გვითხარით, საიდან აღმოცენდა ეს იდეა და რა იყო თქვენი მთავარი მოტივაცია.
თამარა ჩუბინიძე: სულ ვიძახი, რომ "ჭამა მამა" არის "my love letter to the motherland." ეს მართლაც ასეა. თუ შეიძლებოდა, რომ ეტრფიალებოდე, ემიჯნურებოდე შენს სამშობლოს, ყველაფერი არის გაერთიანებული "ჭამა მამა"-ში. "ჭამა მამა" იყო ის, რასაც ველოდი მთელი ცხოვრება, რომ გამეერთიანებინა ჩემი ემიგრაციის ისტორია, ჩემი ემოციები.
ნინი სიხარულიძე: როდის გაგიჩნდათ ის სურვილი, რომ ჩამოგეყალიბებინათ "ჭამა მამა," როგორც სივრცე სადაც ქართული კულტურის პოპულარიზაციას მოემსახურებოდით?
თამარა ჩუბინიძე: 1996 წლიდან ამერიკაში ვცხოვრობ. რომ იგებდნენ ვიყავი საქართველოდან, ვერ ხვდებოდნენ რას ვგულისხმობდი. იმის დამტკიცემა მჭირდებოდა სულ თუ სად იყო საქართველო და ვინ ვართ ქართველები. ეს ძალიან მტკივნეული იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის იმის მტკიცება იყო, რომ ჩვენ არ ვართ რუსეთი. სულ მინდოდა მქონოდა ის სივრცე, სადაც ამ ადამიანებს წავიყვანდი, სადაც ვაჩვენებდი თუ ვინ ვართ ჩვენ,

ქართველები. ასეთი სივრცე ჩემი ემიგრაციის დროს არ იყო. შემდეგ რამდენიმე რესტორანი კი გაიხსნა, მაგრამ მე ჩემი ხედვა მქონდა.

ნინი სიხარულიძე: გქონდათ თუ არა ამ სფეროში გამოცდილება?
თამარა ჩუბინიძე: გადავწყვიტე თავიდან ბოლომდე შემეცვალა ჩემი კარიერა. სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში არ მქონდა გამოცდილება. ძირითადად, ფინანსულ სამყაროში ვტრიალებდი. ვფიქრობდი, რომ შემეძლო ამ დარგში ან მასტერის ხარისხი გამეკეთებინა, ან კიდევ მემუშავა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც ამ დარგის გამოცდილებას მომცემდა. აკადემიურ ყოველდღიურობას ვამჯობინე პრაქტიკული განათლება. ვიპოვე იტალიური ბრენდი, Le Pain Quotidien, სადაც ორი წელი ვმუშაობდი მენეჯერად. გარკვეული დრო რომ გავიდა, მივხვდი რომ ეს სფერო ჩემი იყო. აქედან წამოვიდა იმისი იდეა, რომ შემექმნა საკუთარი ქართული სივრცე. ეს პროცესი ბუნებრივად ხდება. გახსენდება გემოები, პატარაობის კერძები… ეს გემო მონატრებას იწვევდა. აქედან დაიბადა "ჭამა მამა."

ნინი სიხარულიძე: როგორ იგრძენით თავი, როდესაც თქვენს მიზანს მიაღწიეთ?
თამარა ჩუბინიძე: არასოდეს დამავიწყდება გახსნიდან 10 დღის შემდეგ ის რიგი რაც "ჭამა მამა"-ს გარეთ იდგა. ვიგრძენი ძალიან მკაფიო პასუხისმგებლობა, საკუთარი ქვეყნის გაცნობის პასუხისმგებლობა. ჩვენი ქართული სიბრძნე, რომ სტუმარი ნამდვილად წმინდაა და ღმერთის საჩუქარია, ასე აგვიხდა.
თამარა ჩუბინიძე: "ჭამა მამა" გადაიქცა ჩვენს საზოგადოებად. არც ერთი ჩემი გუნდის წევრი არ არის თანამშრომელი. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ძალიან საპასუხისმგებლო, ქართულ მიზანს ვემსახურებით. ეს შინაგანად ყველას მალამოდ გვედება. ყველაფერი იწყება "ენა, მამული, სარწმუნოებით."

ნინი სიხარულიძე: შეგიძლიათ მოგვიყვეთ ოპერირების დეტალებზე თუ როგორ ააწყვეთ და განავითარეთ ყველაფერი რესტორანში?
თამარა ჩუბინიძე: ენა არის ყველაფრის საწყისი. ბევრმა არ იცის, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენივე ენობრივი ჯგუფი, რომ ქართულს ულამაზესი დამწერლობა აქვს, რომ ვფლობთ სამ ანბანს. სტუმარს მარტო საჭმელს არ ვთავაზობთ. ეს უკვე ხდება იმისი მისია, თუ რა გზავნილის წარმოჩენა გვინდა ჩვენი სტუმრისთვის. ანბანი იყო ძალიან მნიშვნელოვანი. მინდოდა ყოველთვის, რომ ამერიკელებს სცოდნოდათ, რომ ქართული ენა არსებობს. კედელზე გავაკეთეთ ქართული ანბანი. ეს ჩვენს რესტორანში ყველაზე მნიშვნელობვანი რამ არის. ადამიანი არ ჩაივლის, რომ არ იკითხოს ამ კედლის შესახებ. მანდ არის მთელი ფილოსოფია, რომ ესთეტკურად წარმოვაჩინოთ ის დეტალები, რომლებიც ჩაღრმავების საშუალებას იძლევა. ერთი სიამოვნებაა, რომ ამ ინფორმაციის მიწოდება შეგვიძლია.
თამარა ჩუბინიძე: თავიდანვე, სანამ "ჭამა მამა"-ს სივრცე შეიქმებოდა, შევქმენით 100 ფაქტი საქართველოს შესახებ. რესტორანში, როდესაც კერძებს და დესერტს მიირთმევ და გადახდის დრო დგება, ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რომ შესაძლებლობა გვეცემა კიდევ ერთი კონტაქტის დამყარება სტუმართან ინფორმაციის მისაწოდებლად. გადახდის დროს,

ჩვენ სტუმრებს ვთავაზობთ ბარათებს, სადაც ძალიან ლამაზი ნახატებით გადმოცემულია ფაქტები საქართველოს შესახებ: ვინ იყო თამარ მეფე, ფიროსმანი, ვახტანგ გორგასალი, რას წარმოადგენს ბარბარობა… ეს კიდევ ერთი ხიდის გაბმის საშუალებაა.

ნინი სიხარულიძე: ვიცი, რომ თქვენი სივრცე ძალიან ესთეტიკური და არტისტულია.
თამარა ჩუბინიძე: ჩვენი მხატვრული გაფორმებაც ქართველი არტისტების ნამუშევარია. გვაქვს ბევრი სუვენირი. რესტორნის ჭურჭელს საქართველოში ვამზადებთ იმისთვის, რომ მოხატული, კერამიკის და განსაკუთრებული დიზაინის პოპულარიზაციაც მოვახერხოთ. კეცები და სხვა ქართული ჭურჭელი გაქვს რესტორანში, რომ ჩვენი თიხასთან მუშაობის ისტორიის გადმოცემაც შევძლოთ. ღვინის ძალიან დიდი არჩევანი გვაქვს და ყველა ღვინო ქართულია.

ნინი სიხარულიძე: შეგიძლიათ მოგვიყვეთ თუ რაზე დაფუძნებით ჩამოყალიბდით იმ მენიუზე, რომელიც ავთენტურად წარმოაჩენდა ქართულ კულინარიასა და გასტრონომიას?
თამარა ჩუბინიძე: სეზონურად ისტორიის მოყოლას ვცდილობთ. მაგალითად, გვაქვს გურული ღვეზელი, რომელიც მარტო კალანდობას მზადდება. სტუმრებს ვუხსნით თუ რა არის კალანდობა. გვაქვს ხოლმე ჩიჩილაკი, რომელსაც დიდი აღფრთოვანებით ხვდება ხოლმე სტუმარი, რადგან მსოფლიოში ყველგან საქართველოს გარდა ნაძვის ხე იდგმება. ეს დიდი ნაწილია კულტურის. ასევე, ვამზადებთ ლობიანს ბარბარობას, რომელსაც განსხვავებული ფორმით ვთავაზობთ სტუმარს. ვცდილობთ გადმოვცეთ, რომ ჩაქაფული გაზაფხულის კერძია და სულ არ უნდა იყოს მენიუს ნაწილი. ვუხსნით, რომ ჩაქაფული აღდგომასთან ასოცირდება და ვასწავლით ქართული აღდგომის შესახებ. ეს დიდი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს აღზრდაში, კულტურულ ჩამოყალიბებაში და საქართველოს ისტორიის გადმოცემაში მონაწილეობდნენ, მაქსიმალურად დავუფასოთ ამაგი.

"ჭამა მამა" დღეს

ნინი სიხარულიძე: გვიამბეთ ცოტა სახელის შერჩევის შესახებ. ქართველებისთვის ეს სახელი საკმაოდ სასაცილოდ ჟღერს. როგორ ჩამოყალიბდით ამ დასახელებაზე?
თამარა ჩუბინიძე: თვითონ "ჭამა მამა" დაიბადა ბრენდინგ კომპანიასთან მუშაობის დროს. ქართულად ეს სასაცილოდ ჟღერს. ეს ის სახელია, რომელსაც იუმორშიც გაატარებ და ასევე, რომელსაც დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს. "ჭამა" აღნიშნავს იმ დიდ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც ქართველებს ჩვენი გასტრონომიით გვერგო წილად. "მამა" საერთაშორისო სიტყვაა დედის მნიშვნელობის. ერთადერთი ქართულშია, რომ "მამა" დედას არ აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, შეიქმნა ეს სახელი. ზუსტად ეს ორი სიტყვაა: დედასთან ასოცირდება პირველი ჭამა. პირველად რომ დედა გაჭმევს, შემდეგ დედის დედა გაჭმევს. სულ ვიღაცის დედა გაჭმევს. განუყოფელია ჭამასთან დედა .

ნინი სიხარულიძე: ეს იყო საქართველოს პოპულარიზაციისთვის მიზანმიმართული დიდი წამოწყება. წარმოვიდგენდი, რომ შეუძლებელი იქნებოდა ეს ყველაფერი იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც თქვენს გვერდით იდგნენ ამ დროის მანძილზე.
თამარა ჩუბინიძე: "ჭამა მამა"-ს გუნდი არის საოცარი. ყველაზე ცივსისხლიანი ომი რომ გვქონდეს მოსაგები, ადამიანები რომლებიც ამ ომის მოსაგებად წავიდოდით ალბათ არის "ჭამა მამა"-ს გუნდი. ამას ვამბობ აბსოლუტურად ბედნიერი და ამაყი. ძალიან იშვიათია, რომ ასეთი ადამიანების გვერდით დგახარ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც არ ზოგავენ თავიანთ ენერგიას და დროს არა მარტო ამ დიდი ქართული მიზნისთვის, ასევე იმ სტუმრისთვის რომელიც რესტორანში მოდის. "ჭამა მამა"-ს გუნდი მხრებში გაშლილი, ჰარმონიულად მომღელარი "მრავალჟამიერია." ერთმანეთს ვაძლიერებთ. ქართველები ერთმანეთს რომ ვაძლიერებთ, ისე ვინ ვინს აძლიერებს?! რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ. ამისი ენერგიაც, ნიჭიც და მონდომებაც გვაქვს.

ნინი სიხარულიძე: ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი მიზნები იწვევს მსგავს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებლობას. გვიამბეთ ცოტა იმაზე, თუ როგორ უერთდება "ჭამა მამა" სხვა მსგავსი მიზნების მქონე სუბიექტებს.
თამარა ჩუბინიძე: ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი დგას საქართველოსთვის დღეს. ეს რენესანსის პერიოდია, როდესაც ყველა იგებს ქართული კულტურის შესახებ. ყველა შეიშალა იმით, რომ 8,000 წელია ღვინოს ვაკეთებთ საქართველოში. ეს დიდი სიამაყის გრძნობაა, რომ მსოფლიო იმ კულტურულ რეალობას აღმოაჩენს, რომელშიც შენ გაიზარდე. ეს პეტნატის სტილისტიკაა, რაც ხალხმა ახლახანს აღმოაჩინა – ჩვენთან ამას მაჭარს ვეძახით. ხვდები, რომ ყველაფერი რაზეც ჩვენ გავიზარდეთ დღეს არის ტრენდი. ეს არის იმისი ინტერესი, რომ გააცოცხლო ძველი და თანამედროვე ეპოქაში წარმოადგინო.
თამარა ჩუბინიძე: ეს მნიშვნელოვანი პერიოდია, რომ თანამოაზრეებთან ერთად დიდი ტალღა შეიკრას ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციისთვის. საფერავის ფესტივალის ჩატარებისას, ზედმეტი კითხვა არ დაბადებულა: როდის, სად და მანდ ვართ. ჩვენ რაც შეგვიძლია მაქსიმალურად ვაკეთებთ.

ნინი სიხარულიძე: შეგიძლიათ გვიამბოთ თქვენს პირველ შთაბეჭდილებაზე, როდესაც ნიუ იორკის შტატში აღმოაჩინეთ სახლიდან ასე შორს გაშენებული ქართული ყურძენი?
თამარა ჩუბინიძე: ფინგერლეიკს ნიუ იორკის კახეთს ვეძახი. მეორე მსოფლიო ომის დროს, ჩამოვიდა უკრაინელი კონსტანტინ ფრენკი, რომელმაც საქართველოდან წამოიღო ქართული ყურძნის ნერგები და ისინი ნიუ იორკის ფინგერლეიკში გააშენა. ამაზე წარმოდგენა არავის ჰქონდა. რომ ჩაველი ფინგერლაიკში, ვიტირე ამდენი საფერავის და რქაწითელის შემხედვარე. რამხელა ისტორიაა. ბევრი ყურძნის ჯიში იყო ჩამოტანილი, მაგრამ საფერავი და რქაწითელი გადარჩა, რადგან თვითომ ამ ყურძნის ჯიშებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ყინვაში და ასეთ ტემპერატურაში გაუძლოს და გვასახელოს. ქართველები ვამბობთ, რომ "wine is our blood."

თამარა ჩუბინიძე: თვითონ ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ საქართველოში ომში წასული ჯარისკაცები ყურძნის ნერგს იღებდნენ გულმკერდის ჯიბეში, რომ სადაც გარდაიცვლებოდნენ იქიდან ვაზს გაეხარა. რომ უყურებ, რომ საფერავის ვაზია გაზრდილი ფინგერლეიკში, ეს დიდი ბედნიერებაა. ლაშა ცატავას და პარტნიორ ერიკა ფრეის წამოწყებულია ეს საფერავის ფესტივალი ნიუ იორკში, "საფერიკა" ჰქვია ამ დღესასწაულს. ძირითადად ემსახურება, ქართული ღვინის, საფერავის თამადობით და ქართული კულინარიის და გასტრონომიის პოპულარიზაციას. ამერიკელები გიჟდებიან. დიდი ბედნიერებაა, რომ იციან რა არის საფერავი. ორი წელია, "ჭამა მამა"-ს გუნდი ავდივართ ფინგერლეიკში და ვცდილობთ წარვადგინოთ ქართული კულინარია.
თამარა ჩუბინიძე: წელს, 170-კაციანი სუფრა გავშალეთ. ქართული საჭმლის სწორად წარდგენა სუფრის საშუალებითაა. ქართული საჭმელი არ არის street food. ჩვენი კულტურა არ არის ფეხზე დგომა. წლევანდელ ღონისძიებას რომ ვგეგმავდით, გადავწყვიტეთ რომ გაგვეშალა სუფრა. ეს არის ავთენტური, რადგან ქართველები სტუმრებს სუფრაზე ვუმასპინძლდებით.

ქართული კულტურის შენარჩუნება

ნინი სიხარულიძე: დღესაც განიცდით საქართველოს მიმართ ნოსტალგიის შეგრძნებას? ფიქრობთ, რომ საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნდებით?
თამარა ჩუბინიძე: დღესაც ყველაზე მეტად ჩემი საყვარელი ადამიანები მენატრებიან. ამ ურთიერთობების და ადამიანების მონატრება არის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი. ჩემი ღრმა რწმენით, მე დიდი სიხარულით დავბრუნდები საქართველოში იმ წლების გასატარებლად, როდესაც უფრო ნაკლები რამ დამრჩება აქ ამერიკაში გასაკეთებელი. ეს აუცილებლად უნდა იყოს ის ავთენტური საქართველო, რომელიც ჩვენ ქართველებს გვინდა – თავისუფალი და დამოუკიდებელი.
თამარა ჩუბინიძე: 15 წლის ასაკში მე გამზადებულ პირობებში ჩამოვედი ამერიკაში. მამამ ყველაფერი მოწესრიგებული დამახვედრა.

ნინი სიხარულიძე: მოგეხსენებათ, დღეს აშშ-ში ახლადჩამოსული ქართველებისთვის რეალობა ძალიან მკაცრია. თქვენი თვითრეალიზაციის გამოცდილებიდან, გაქვთ თუ არა რაიმე რჩევა იმ ქართველი ემიგრანტებისთვის, რომლებიც ცხოვრების აწყობას ცდილობენ ამერიკაში?
თამარა ჩუბინიძე: დღეს მესმის ისტორიები იმის შესახებ, თუ რის ფასად უჯდებათ ქართველ ემიგრანტებს ემიგრაცია. მე ამ ადამიანებისადმი ძალიან დიდი პატივისცემა მაქვს. პირველ რიგში, ყველა იმ ადამიანს ვინც ამერიკაში ჩამოდის იმით გავამხნევებდი, რომ ყველაფერი გამოუვათ. ეს ის ქვეყანაა სადაც შრომას თუ არ დაზარებ, ოცნებები აუცილებლად აგიხდება. მინდა ამისთვის გამბლეობა ვუსურვო თითოეულ ქართველ

ემიგრანტს. ის ვუსურვო, რომ შრომისუნარიანობა გაჰყვეთ დიდხანს, რათა თავიანთი ოცნებები აიხდინონ.

ნინი სიხარულიძე: და ბოლოს, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს არ ჰქონია მარტივი წარსული, ყველაზე აქტუალურია გამოწვევები 2008 წლის რუსეთის ომი საქართველოში და რუსეთის მიერ მიმდინარე ოკუპაცია. ეს ძალიან ამუხრუჭებს ქართველი ხალხის თავისუფლებას. თქვენი გადმოსახედიდან, როგორც ემიგრანტი, როგორ მომავალს უსურვებდით საქართველოს?
თამარა ჩუბინიძე: ჩემს დედა-სამშობლოს, სულ ესე ვეძახი "my motherland," ვუსურვებდი ნამდვილ ქართულობას, ერთიან საქართველოს ამ სტუმართმასპინძლობის ხალასით, ბარაქით, ხალისით. მე იმ თაობის იმედი მაქვს, რომელმაც არ იცის რა არის საბჭოთა კავშირი. ამ ბავშვების იმედი მაქვს, რადგან მათში ბედმეტი საბჭოთა ფიქრი არ შემოდის. აქ სულ სხვა თავისუფლებაზეა საუბარი. იმ ყველა ადამიანის გვერდში ვიქნები, ვინც საქართველოს გამთლიანების მისიას უდგას თავში. ეს ბრძოლისუნარიანობაა. რომ ის რაც ნამდვილად ქართულია, იმას ვღაღადებთ მთელი "ჭამა მამა"-ს გუნდი. ზუსტად ეს არის ის მნიშვნელოვანი ტალღა, რომელსაც ჩვენ, ქართველი ემიგრანტები, შორიდან მაგრამ გულისხმიერად ვუერთდებით. ხალასიან, ბედნიერ, ნამდვილ და ქართულ საქართველოს ვისურვებდი ჩემთვისაც, ჩემი შვილებისთვისაც და თითოეული ქართველის შვილებისთვის.